განკარგულება:**გ-49. 492536015**
თარიღი:**26/12/2025**

ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ. კოდი # 29.08.34.187) განთავსებული კაფე -ბარის 08 (1) პირობით 10 წლის ვადით , იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 15 დეკემბრის №48-4825349101 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას **ქალაქ წყალტუბოში, ცენრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ. კოდი # 29.08.34.187)განთავსებული კაფე -ბარის 08 (1) პირობით 10 წლის ვადით , იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ. კოდი # 29.08.34.187)განთავსებული კაფე -ბარის 08 (1) პირობით 10 წლის ვადით, იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი